24/09/2026

MES 3 26 0001310447

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი; საბჭოს წევრი
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსი:
მარინე დეკანოიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა:
მიხეილ კაკაბაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსი:
ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარი ფალელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 14 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული 2026 წლის 13 ივლისის N918983 კორესპონდენციის განხილვა;
2. შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ 2026 წლის 22 ივნისის N777455 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის თანამშრომელმა, განმარტა, რომ 2026 წლის 07 სექტემბრის N1160135 ოქმის მე-3 ნაწილში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი და მიმართა საბჭოს შუამდგომლობით, დღის წესრიგს დამატებოდა სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ 2026 წლის 07 სექტემბრის N1160135 ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ 2026 წლის 07 სექტემბრის N1160135 ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული 2026 წლის 13 ივლისის N918983 კორესპონდენციის განხილვა;
3. შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ 2026 წლის 22 ივნისის N777455 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ 2026 წლის 07 სექტემბრის N1160135 ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა განმარტა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ 2026 წლის 07 სექტემბრის N1160135 ოქმის მე-3 ნაწილში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებაში მითითებული იყო, რომ დაწესებულებამ ცენტრის ინფორმირება უნდა განახორციელოს 2026 წლის სექტემბერში, თუმცა, რეალურად, სკოლას ცენტრის ინფორმირებისთვის 2026 წლის სექტემბრის გარდა, განესაზღვრა სხვს თარიღებიც, კერძოდ, 2026 წლის დეკემბერში კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმება, 2027 წლის ივნისში ლაბორატორიისთვის არსებული სივრცის ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდებით, გამწოვი კარადით, რეაქტივების შესანახად საჭირო რკინის კარადითა და სველი წერტილით აღჭურვა და 2028 წლის ივნისში სკოლის შენობების სრულად ადაპტირება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 07 სექტემბრის N1160135 ოქმის მე-3 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 07 სექტემბრის N1160135 ოქმში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**3. სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 24 და 25 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ და რუსულ ენებზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 2400. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 2400-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში და იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა ახლად აშენებული შენობის სარგებლობაში მიღება.

ექსპერტმა, ია ქურიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, თუმცა სკოლას ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ყველა სივრცე. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა სკოლის მიმართ გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაციით, კერძოდ, რა იგულისხმებოდა საპირფარეშოების პრივატულობის უზრუნველყოფაში. ექსპერტმა, ია ქურიძემ, აღნიშნა, რომ სველ წერტილებში კარები მოწყობილი იყო ისე, რომ რთული იქნებოდა პრივატულობის დაცვა, ასევე, ახალ შენობაში პისუარებზე იყო ტიხრები მოსაწყობი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ, დასკვნის გაცნობის შემდგომ წარმოადგინა სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საზღვარგარეთ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით აღიარების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელიც საბჭომ მიიღო ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2400-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო -15:12
დასრულების დრო - 15:17

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 245428979) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული რუსული	ქალაქი ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N122 (3 შენობა-ნაგებობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული რუსული	ქალაქი ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N122 (3 შენობა-ნაგებობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული რუსული	ქალაქი ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N122 (3 შენობა-ნაგებობა)

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში დაწყებით საფეხურზე (ქართული და რუსული) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, ფიზიკური აღზრდის და მე და საზოგადოების, დაწყებით საფეხურზე (ქართული) ბუნებისმეტყველების, საბაზო საფეხურზე (რუსული) - ,,ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)'', საშუალო საფეხურზე (რუსული) - არჩევითი საგნის - ხელოვნების ისტორიის, საბაზო საფეხურზე (ქართული) - ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმების, ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის, ვიდეომონიტორინგის სისტემის დამონტაჟების, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების, სახანძრო

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვის, სკოლის საპირფარეშოებში პრივატულობის უზრუნველყოფის, სკოლის ეზოში არსებული ახალი შენობის სკოლის სარგებლობაში ოფიციალურად გადაცემის და ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოპოვების, ახალი შენობის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების და შესაბამისი ამონაწერის მომზადებისა და მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიღებული რეკომენდაციების სრულად გათვალისწინების დამადასტურებელი მტკიცებულებების, ასევე, **2026 წლის დეკემბერში** კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების, **2027 წლის ივნისში** ლაბორატორიისთვის არსებული სივრცის ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდებით, გამწოვი კარადით, რეაქტივების შესანახად საჭირო რკინის კარადითა და სველი წერტილით აღჭურვის და **2028 წლის ივნისში** სკოლის შენობების სრულად ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.“

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული 2026 წლის 13 ივლისის N918983 კორესპონდენციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი და მომჩივანი მხარე. მისი განმარტებით, წარმოდგენილ კორესპონდენციაში განხილული საკითხების სრულყოფილად შესწავლისა და ობიექტური შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანი იყო დაინტერესებული მხარეების პოზიციების მოსმენა და მათი გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის განხილვის გადადება.

3. შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 14 აგვისტოს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადი.
ექსპერტის თქმით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის (მე-3 სტანდარტი -

სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შემოწმება. აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 3.1 შეფასებული იყო შეუსაბამოდ.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაციას. დაწესებულების მიმართ ასევე, გაიცა რეკომენდაციები, რომელებიც ეხებოდა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების წესის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებასა და ექიმის დასაქმებას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება 2026-2027 სასწავლო წლიდან სასწავლო პროცესის განხორციელებას/განახლებას გეგმავდა ახალ მისამართზე, ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1-ში არსებული შენობის III და IV სართულებზე. ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა სრულად აღჭურვილი იყო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსებით.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსი დაარსდა 1995 წელს და მას შემდეგ წარმატებით ფუნქციონირებდა საგანმანათლებლო სივრცეში. მისი თქმით, დაწესებულებაში ხორციელდებოდა გერმანული ენის დიპლომის პროგრამა DSD, ასევე საერთაშორისო პროგრამა TOEFL. ექსპერტის თქმით წარმატებული პრაქტიკის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადენდა შაბათობით ორგანიზებული შემაჯამებელი სამუშაოების სისტემა. მისი თქმით, დაწესებულებას ჰქონდა მნიშვნელოვანი საუკეთესოპრაქტიკის/გამოცდილების მაგალითები , რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. სკოლის დირექტორმა, მარინე დეკანოიძემ, აღნიშნა, რომ სკოლამ დაასაქმა კვალიფიციური ექიმი, ხოლო სხვა რეკომენდაციასა თუ ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით დაწყებული ჰქონდათ აქტიური მუშაობა.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, კიდევ რა დაწესებულება ფუნქციონირებდა იმ შენობაში, სადაც სკოლა აპირებდა საქმიანობის გაგრძელებას და ჰქონდა თუ არა სკოლას იზოლირებული შესასვლელი. სკოლის დირექტორის თქმით, სკოლისა და სხვა სართულებზე შესასვლელი სივრცეები იყო სრულად იზოლირებული და დაცული იყო უსაფრთხოების ზომები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართისცვლილების საკითხი.
სკოლის წარმომადგენელმა, საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, დადებითი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 14 სექტემბერი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:59
დასრულების დრო 15:02

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის (ს/კ: 204872174) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართის ცვლილება და დანართში ასახულ მისამართზე მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1

საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 14 სექტემბერი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის ოქტომბერშიექიმის დასაქმების, 2027 წლის სექტემბერში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაციის გათვალისწინების, უფლებამოსილ ორგანოსთან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4.სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბო ს

საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ 2026 წლის 22 ივნისის N777455 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ 2026 წლის 22 ივნისის N777455 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული იყო, რომ სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 200-ით, რეალურად კი, სკოლას 2026 წლის 22 ივნისის ოქმის N777289 მე-7 ნაწილის საფუძველზე მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 240-ით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 22 ივნისის N777455 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 22 ივნისის N777455 გადაწყვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„3.სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240-ით;“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 15:10 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე